სკოლის დასახელება	სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოშვილის საჯარო სკოლა
მასწავლებელი	დავით ბოლქვაძე
ნაწყვეტი წიგნიდან	,,ცნობილი ხუთეული“
სწავლების საფეხური/კლასი	დაწყებითი, V-VI კლასები
მისაღწევი შედეგები	**მოსწავლეები:** ➢ გაიმჯობესებენ დაკვირვებული კითხვის უნარს; ➢ განივითარებენ ლოგიკური აზროვნების და არგუმენტირების უნარებს; ➢ განივითარებენ ანალიზისა და თვითშეფასების უნარებს; ➢ გაუძლიერდებათ ემპათიის გრძნობა; ➢ გამოავლენენ და განივითარებენ შემოქმედებით უნარებს.
წინასწარი ცოდნა	**მოსწავლეები:** ❖ ასაკის შესაბამისად დაუფლებულები არიან ტექსტში საჭირო ინფორმაციის მოძიების უნარს; ❖ მეტნაკლები წარმატებით შეუძლიათ შეაფასონ ადამიანების საქციელი და დაინახონ გამოვლენილი თვისებები; ❖ ასაკის შესაბამისად ახერხებენ თავიანთი მოსაზრებების არგუმენტირებას; ❖ ინტერესით ერთვებიან შემოქმედებით აქტივობებში, აქვთ წარმოსახვის უნარი.
აქტივობების თანმიმდევრობა და დრო (შეგიძლიათ, არ შემოიფარგლოთ ერთი გაკვეთილით და აქტივობის განხორციელებისთვის რამდენიმე დღე გამოიყენოთ, თუმცა დეტალურად გაწერა არ არის საჭირო)	I აქტივობა - გამოიცანი პერსონაჟის თვისებები II აქტივობა - ვინ ხარ შენ? III აქტივობა - როგორ მოყვებოდა ტიმი? დრო: აქტივობებს დაეთმობა 2 გაკვეთილი, ზოგიერთი სამუშაო შესრულდება დამოუკიდებლად სახლში (ტექსტის წაკითხვა, მესამე (შემოქმედებითი) დავალებაც დაწვრილებითი რეკომენდაციების გაცემის შემდეგ სახლში შესრულდება - სკოლაში პრეზენტაციები მოეწყობა და გაიცემა უკუკავშირი). **შენიშვნა:** ტექსტის წინასწარ წაკითხვის შემდეგ შესაძლოა აქტივობები შესრულდეს ერთდროულად არაფორმალური განათლების ფორმით მაგ; წრის ან კლუბის სამუშაო შეხვედრაზე. (დრო - დაახლოებით 1,5 საათი).

აქტივობა 1	აქტივობის აღწერა	აქტივობის მიზანი

I აქტივობა - გამოიცანი პერსონაჟის თვისებები

აქტივობის აღწერა:

მოსწავლეები ყურადღებით წაიკითხავენ ტექსტს სახლში. გაკვეთილზე მათ დაურიგდებათ 12 პატარა ფურცელი, რომლებზეც პერსონაჟების თვისებები იქნება დაწერილი. მოსწავლეებმა თითოეულ პერსონაჟს უნდა დაუკავშირონ 3 თვისება და ახსნან თავიანთი არჩევანი.

პერსონაჟების თვისებები:

ორგანიზებული, წინდახედული, გონიერი (**ჯულიენი**), უდარდელი, მსუნაგი, თვითკრიტიკული (**დიკი**), მზრუნველი, ფრთხილი, დარდიანი (**ჯორჯი**),
დამჯერი, გაბედული, მოხერხებული (**ენი**).

თვისებების პერსონაჟებთან დაკავშირების შემდეგ პრეზენტაციის დროს უნდა ახსნან, რატომ გააკეთეს თავიანთი არჩევანი (პრეზენტაციის დროს უნდა მოიშველიონ პერსონაჟების მოქმედები, რომლებშიც მათ გამოავლინეს მითითებული თვისებები). სასურველია, აქტივობა თანამშრომლობით ფორმატში განხორციელდეს (წყვილებში, ტრიადებში, ჯგუფურად - ბავშვების რაოდენობიდან გამომდინარე კოვიდრეგულაციების გათვალისწინებით). სურვილის შემთხვევაში ბავშვები დახატავენ პერსონაჟს, როგორც წაკითხული ინფორმაციის, ასევე საკუთარი ფანტაზიის მიხედვით. შესაძლებელია მოსწავლეები 4 ჯგუფად გაიყოს და თითო ჯგუფმა თითო პერსონაჟზე იმუშაოს (ამ შემთხვევაში პერსონაჟს უფრო დაწვრილებით დაახასიათებენ).

აქტივობის მიზანი:

აქტივობის მთავარი მიზანია მოსწავლეებმა დაკვირვებულად წაიკითხონ ტექსტი და ლოგიკურად დააკავშირონ ზედსართავი სახელებით მიწოდებული თვისებები კონკრეტულ პერსონაჟს. მოსწავლეები პერსონაჟისთვის თვისებების შერჩევისას გაიმჯობესებენ ლოგიკური აზროვნების უნარს, ხოლო პრეზენტაციის დროს არგუმენტირებული მსჯელობის უნარს. მოსწავლეები კონკრეტული მაგალითების მეშვეობით ზოგადად უკეთ მოახერხებენ მოქმედებების მიხედვით ადამიანების თვისებებზე საუბარს.

აქტივობა 2	**II აქტივობა - ვინ ხარ შენ?** **აქტივობის აღწერა:** მოსწავლეებს ვთხოვთ კარგად დაუკვირდნენ პერსონაჟებს და შეადარონ მათ თავიანთი პერსონა. მოსწავლეებმა 4 პერსონაჟიდან უნდა აირჩიონ ის ერთი, რომელსაც მათი აზრით, ყველაზე მეტად ჰგვანან (რა თქმა უნდა, ბიჭებმა ბიჭები და გოგონებმა გოგო არ უნდა აირჩიონ და ყურადღება თვისებებზე უნდა გაამახვილონ). პრეზენტაციის დროს მოსწავლე უკვე საკუთარი მოქმედებებით ახსნის გაკეთებულ არჩევანს. სურვილის შემთხვევაში მოსწავლეს შეუძლია 1 თვისება სხვა პერსონაჟიდან მიუთითოს ან ახალი თვისება დაუმატოს თავისი შეხედულებისამებრ. (თუმცა დამატებული თვისება მხოლოდ 1 უნდა იყოს, სასურველია, მოსწავლემ მოახერხოს რომელიმე პერსონაჟთან ასოცირება) **აქტივობის მიზანი:** აქტივობის მთავარი მიზანია მოსწავლეებმა გამოავლინონ და გაიუმჯობესონ თვითშეფასების უნარი. მოსწავლეები განივითარებენ შედარების გზით მსგავსება-განსხვავებების აღმოჩენის უნარს, პრეზენტაციების დროს მოსწავლეები განივითარებენ აუდიტორიასთან ურთიერთობის უნარს
აქტივობა 3	**III აქტივობა - როგორ მოყვებოდა ტიმი?** **აქტივობის აღწერა:** მოსწავლეებს ვთხოვთ ნაწარმოების მთავარ გმირად აქციონ ძაღლი ტიმი და ამბავი მოყვნენ პირველ პირში. მოსწავლეებს ვაძლევთ მაქსიმალურად დაწვრილებით რეკომენდაციებს თავიანთი შემოქმედებითი პროდუქტის შესახებ. ამასთანავე ვთხოვთ ყურადღება გაამახვილონ რამდენიმე მომენტზე : ა) ტიმის მოლოდინები და გრძნობები ფათერაკამდე; ბ) გადამხდარი ფათერაკი (ტიმის გადმოცემით); გ) ტიმის ფიქრები ფათერაკის შემდეგ; დ) ტიმი ბავშვებზე; ე) წარმოსახვითი პასუხი ტექსტის ბოლოში დასმულ კითხვაზე - **ნეტავ მართლა რამე ხომ არ დაუშავდა ტიმს?**

	მოსწავლეებს დაურიგდებათ ფურცლები, რომელშიც მითითებული იქნება სამუშაო არე ნაწარმოების მაქსიმალური ზომის განსაზღვრის მიზნით. **აქტივობის მიზანი:** აქტივობის მთავარი მიზანია მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარის განვითარება. ამასთანავე, განივითარებენ წერით უნარებს. ტექსტის ბოლოში დასმულ კითხვაზე პასუხისას მოსწავლეები გამოავლენენ წარმოსახვისა და ფანტაზიის უნარს. მოსწავლეებს გაუჩნდებათ ემპათიის გრძნობა ცხოველების მიმართ.